სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 ოქტომბერი, 2025 წელი

ბრძანება №01-02/200

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ხელოვნების მუზეუმების) გიდი" დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის **მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების,** „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" **საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების,** „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს **რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის №01-02/202 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის და სერტიფიკატის დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 მარტის №01-02/71 ბრძანების,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი) 2025 წლის **20 ოქტომბრის №1374441** სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს პროფესიული გადამზადების პროგრამა **„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ხელოვნების მუზეუმების) გიდი"**, წინამდებარე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა, ბსუ-ს რექტორის მოადგილესთან ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზება-გატარება.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მერაბ ხალვაშს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის

,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ხელოვნების მუზეუმების) გიდი“

დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №01-02/200 ბრძანების დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ხელოვნების მუზეუმების) გიდი
პროგრამის სახე: X პროფესიული მომზადება X პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ☐4 ■ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური: 15 მაქსიმალური: 20**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- **განათლება:** სრული ზოგადი;
- **ასაკი:** არანაკლებ 18 წელი;
- გიდად მუშაობის გამოცდილება (არანაკლებ 6 თვე) და/ან ტურიზმის, ისტორიის, არქეოლოგიის სპეციალობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და/ან კურსდამთავრებული, უცხო ენის (ინგლისური და/ან ფრანგული და/ან რუსული და/ან გერმანული) ცოდნა A2 დონეზე;

პროგრამაზე შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები: პროფესიული გადამზადების პროგრამის **„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ხელოვნების მუზეუმები) გიდი“** მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელსაც შეეძლება: ტურის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის დამუშავება, საორგანიზაციო საკითხებზე ჯგუფის წევრებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება, ტურის დაწყებამდე აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება, ტურისტულ ჯგუფთან ურთიერთობის წარმართვა, სამუზეუმო ექსპონატების და ექსპოზიციის შესახებ ინფორმაციის დამუშავება, საექსკურსიო პროგრამის მომზადება, სამუზეუმო ტურის წარმართვა და ჩატარებული ტურის შესახებ ანგარიშის მომზადება.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ექსკურსიის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გამოყენება;
2. სამუზეუმო ექსპონატების და ექსპოზიციის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
3. საექსკურსიო ჯგუფთან ურთიერთობის წარმართვა;
4. საექსკურსიო პროგრამის მომზადება;
5. საორგანიზაციო საკითხებზე ჯგუფის წევრებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება;
6. სამუზეუმო ტურის წარმართვა;
7. ექსკურსიის მსვლელობისას გარემოზე ზემოქმედების ღონისძიებების გატარება;
8. პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა;
9. ჩატარებული ტურის ანგარიშის მომზადება;
10. არქეოლოგიურ მუზეუმებში სპეციფიკაზე მორგებული ახალი ექსკურსიის შექმნა და განხორციელება;
11. ეთნოგრაფიულ მუზეუმებში სპეციფიკაზე მორგებული ახალი ექსკურსიის შექმნა და განხორციელება;
12. ხელოვნების მუზეუმებში სპეციფიკაზე მორგებული ახალი ექსკურსიის შექმნა და განხორციელება;

პროგრამის შემუშავების საფუძველი: სსიპ - აჭარის მუზეუმის დირექტორის 2024 წლის 16 ივლისის №624 0000869994 წერილი; პროფესიული

საგანამათლებლო პროგრამის ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი“ ჩარჩო დოკუმენტი;
პროგრამის მოკლე აღწერა: გადამზადების პროგრამა საშუალებას აძლევს მსმენელებს გაეცნონ და შეისწავლონ: ტურის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის დამუშავება, საორგანიზაციო საკითხებზე ჯგუფის წევრებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება, ტურის დაწყებამდე აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება, ტურისტულ ჯგუფთან ურთიერთობის წარმართვა, სამუზეუმო ექსპონატების და ექსპოზიციის შესახებ ინფორმაციის დამუშავება, საექსკურსიო პროგრამის მომზადება, სამუზეუმო ტურის წარმართვა და ჩატარებული ტურის შესახებ ანგარიშის მომზადება და ჩატარებული ტურის შესახებ ანგარიშის მომზადება. პრაქტიკული სავარჯიშოების ფორმატი უზრუნველყოფს მსმენელთა გუნდში მუშაობისთვის საჭირო და საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარების გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესი წარიმართება მაღალკვალიფიცირებული პერსონალის ჩართულობით ბსუ-ს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებში და რეალურ გარემოში - არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ხელოვნების მუზეუმების ბაზებზე. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, სულ 240 საათი (კვირაში 20 საათი, 4-5 დღე დამსაქმებელთან შეთანხმებით). სწავლების დროს გამოყენებული იქნება პრეზენტაციები, სასწავლო მასალების დემონსტრირება, სასწავლო ექსკურსია, პრაქტიკული მეცადინეობები, როლური თამაშები, სიმულაცია, დისკუსია. მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: 1) განმავითარებელ შეფასებას - ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით და ტარდება სწავლების პარალელურად; 2) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმავითარებელი შეფასება ხორცილდება მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 კვირეებში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კვირეებში. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ. პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდნენ შესაბამისი პროფილის მიმართულებით ან წამოიწყოს საკუთარი საქმიანობა. პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი შესაბამისი დანართით.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
I	➢ სანდო წყაროების იდენტიფიცირება და დამუშავება; ➢ ინფორმაციის საძიებო სისტემებთნ მუშაობა; ➢ ინფორმაციის დამუშავებისას კრეატიული მეთოდების გამოყენება; ➢ ტურის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის დახარისხება;	№1	20 სთ	➢ინტერაქტიული ლექცია; ➢პრაქტიკული დავალება; ➢როლური თამაში;		A, B გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)
II	➢ ინფორმაციის მოძიების გზები; ➢ ტურისტთა ტიპოლოგიის შესწავლა და მათი სამომხმარებლო ქცევები.	№1	18 სთ	➢ ინტერაქტიული ლექცია; ➢ დისკუსია; ➢ პრაქტიკული დავალება		A, B გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)
	განმავითარებელი შეფასება	**№1**	**2 სთ**		**გამოკითხვა; პრაქტიკული დავალება**	**A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)**
III	➢ მუზეუმის ცნება: ობიექტი, საგანი, მიზანი, ამოცანები; ➢ მუზეუმების სტრუქტურა და	№2	4 სთ	➢ინტერაქტიული ლექცია; ➢დისკუსია;		A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)

	კლასიფიკაცია; ➢ მუზეუმის პროფილი; ➢ მუზეუმი, როგორც სოციალურ-კულტურული ინსტიტუტი;					
	➢ არქეოლოგიური მუზეუმის მიზნები, ამოცანები, სპეციფიკა და თავისებურებები; ➢ ეთნოგრაფიული მუზეუმის მიზნები, ამოცანები, სპეციფიკა და თავისებურებები; ➢ ხელოვნების მუზეუმის მიზნები, ამოცანები, მუზეუმის სპეციფიკა და თავისებურებები;	№2	4 სთ			
	➢ მუზეუმის შენობა. მუზეუმების თანამედროვე და ისტორიული შენობები. მათი ტექნიკური ორგანიზაციის თავისებურებანი; ➢ საგამოფენო-საექსპოზიციო კომპლექსები, მათი სტრუქტურა და საქმიანობა; ➢ სამუზეუმო ზონები. მომსახურების ზონა, ექსპოზიციის მომზადებისა და მომსახურებისა, რეკრეაციული ზონები, მათი სტრუქტურა და მოღვაწეობის	№2	10 სთ			

	სპეციფიკა; ფონდები და საცავები, მათი სტრუქტურა და მოღვაწეობის სპეციფიკა.					
	განმავითარებელი შეფასება	**№2**	**2 სთ**		**გამოკითხვა; პრაქტიკული დავალება**	**A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. 1№5)**
IV	➢ პროფესიული ეთიკის მიზნები და ნორმები; ➢ მომსახურების არსი და ნორმები: ტურისტი - მომხმარებელი და ადამიანი; ➢ მომხმარებელთა ძირითადი ტიპების კლასიფიკაცია; ➢ მომხმარებელთა უფლებების დაცვა; ➢ საერთაშორისო ეტიკეტის გამოყენება ტურისტებთან ურთიერთობების პროცესში; ➢ კომუნიკაციის ფორმები (ვერბალური და არავერბალური; იმიჯის და ინტელექტის ცნება); ➢ ტურისტული მომსახურებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები: სავალდებულო და სარეკომენდაციო. სავალდებულო - სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება; (რეკომენდებული - დანიშნულებისადმი შესაბამისობა, შესრულების სიზუსტე და	№3	20 სთ	➢ ინტერაქტიული ლექცია; ➢ დისკუსია; ➢ პრაქტიკული დავალება;	გამოკითხვა, როლური თამაში; პრაქტიკული დავალება;	A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)

	დროულობა, კომპლექსურობა, მომსახურე პერსონალის ეთიკურობა, კომფორტულობა, ესთეტიურობა, ერგონომიულობა).					
V	➢ შეხვედრა ჯგუფთან, პოზიციონირება ➢ გიდსა და ტურისტთა ჯგუფს შორის ზრდილობიანი მოპყრობა და დიალოგი ტურისტთან;	№3	5 სთ	➢ინტერაქტიული ლექცია; ➢დისკუსია; ➢პრაქტიკული დავალება;		A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)
	ექსკურსიამცოდნეობის პრინციპები: ➢ საექსკურსიო გეგმა; ➢ ექსკურსიის პედაგოგიკა და დიდაქტიკა; ➢ დიფერენცირებული მიდგომა ტურისტებისადმი; ➢ დროის მენეჯმენტის ცოდნა და გამოყენება	№4	➢12 სთ	➢ინტერაქტიული ლექცია; ➢პრაქტიკული დავალება; ➢პრეზენტაცია.		A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)
	განმავითარებელი შეფასება	**№3-4**	**3 სთ**		**გამოკითხვა; პრაქტიკული დავალება**	**A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)**
VI	➢ ტურის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების - შეკრების დრო; ➢ ტურის (დამატებითი მომსახურებების შეძენის) ღირებულება; ➢ ტურის გეგმა და განსახორციელებელი მარშრუტი, შესვენების/გაჩერების დრო	№5	19 სთ	➢ინტერაქტიული ლექცია; ➢პრაქტიკული დავალება; ➢როლური თამაში; ➢დისკუსია; ➢სიმულაცია;	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პრაქტიკული დავალება გამოკითხვა)	A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)

	და პუნქტი (არსებობის შემთხვევაში); ➢ ზოგადი ინსტრუქტაჟი ტურის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით (მსგავსი საორგანიზაციო საკითხები, აგრეთვე, ინფორმაცია შოპინგის ან კვების ობიექტების და ა.შ. შესახებ).					
	განმავითარებელი შეფასება	**№5**	**1 სთ**		**გამოკითხვა; პრაქტიკული დავალება**	**A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)**
VII	➢ ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა - ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკა; ➢ ჩვენების მეთოდური ხერხები; თხრობის ხერხები; ➢ ექსკურსიამძღოლის მეტყველება; ექსკურსიამძღოლის პიროვნება და ოსტატობა; ➢ დროის მენეჯმენტის ცოდნა და გამოყენება; ➢ მხედველობითი კონტაქტი, ჟესტების ენა და მისი მნიშვნელობა ექსკურსიის მსვლელობისა დროს; ➢ გიდის ჩაცმულობა; გიდის ჰიგიენა;	№6	➢19 სთ	➢ინტერაქტიული ლექცია; ➢პრაქტიკული დავალება; ➢პრეზენტაცია. ➢სასწავლო ექსკურსია მუზეუმში.	როლური თამაში	A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)
	განმავითარებელი შეფასება	**№6**	**1 სთ**		**გამოკითხვა; პრაქტიკული დავალება;**	**A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)**

					როლური თამაში	
VIII	➢ ტურისტულ მარშრუტებზე მომსახურების ხარისხის მენეჯმენტი ➢ გარემოს დაბინძურების მინიმიზაციის ტექნოლოგიები ტურისტული მარშრუტების მსვლელობისას;	№7	15 სთ	➢ ინტერაქტიული ლექცია; ➢ სიტუაციური ამოცანა.		A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)
	➢ შესავალი (პირველადი დახმარების მნიშვნელობა ტურის დროს; საფრთხის შეფასების ძირითადი პრინციპები; პირველადი დახმარების მიზნები და ძირითადი ქმედებები); ➢ უსაფრთხოება და პრიორიტეტები (ადგილმდებარეობის უსაფრთხოების შეფასების მეთოდები; სასწრაფო შემთხვევების პრიორიტეტული კლასიფიკაცია; სიტუაციების შეფასება);	№8	5 სთ	➢ ინტერაქტიული ლექცია; ➢ შემთხვევების ანალიზი; ➢ დისკუსია; ➢ როლური თამაშები.		
IX	➢ გულმკერდის კომპრესია და ხელოვნური სუნთქვა (გულ-ფილტვის რეანიმაციის (CPR) თეორიული საფუძვლები; პრაქტიკული ხელოვნური სუნთქვის მეთოდოლოგია;) ➢ სისხლდენისა და ტრავმული დაზიანებების მართვა (სისხლდენის	№8	10 სთ	➢ ინტერაქტიული ლექცია; ➢ შემთხვევების ანალიზი; ➢ დისკუსია; ➢ როლური თამაშები.		

	შეჩერების თანამედროვე მიდგომები; მოტეხილობების დროს ფიქსაციის პრინციპები). ➢ მოტეხილობებისა და დამწვრობების პირველადი მართვა (დამწვრობების კლასიფიკაცია და პირველადი დახმარების ღონისძიებები; მოტეხილობების კლინიკური ნიშნები და პირველადი დახმარება; ვიზუალური და ილუსტრაციული რესურსების გამოყენება (პლაკატები, ინსტრუქციები)). ➢ შოკის დიაგნოსტიკა და პრევენცია (შოკის ძირითადი კლინიკური ნიშნები; პრევენციული და დამხმარე ღონისძიებები; ➢ გონების დაკარგვისა და კრიტიკული მდგომარეობების მართვა (მოულოდნელი გონების დაკარგვის მართვის პრინციპები; მსუბუქი და მძიმე შემთხვევების დიფერენცირება). ➢ პირველადი დახმარება ტურის სპეციფიკურ პირობებში (ხშირი საგანგებო სიტუაციები ტურის დროს; გადაუდებელი დახმარების სწრაფი რეაგირების ალგორითმები).					

	➢ შიდა ან ზოგადი სტანდარტის მიხედვით ანგარიშის მომზადების პრინციპები და საფუძვლები	№9	7 სთ	➢ინტერაქტიული ლექცია; ➢სიტუაციური ამოცანა.		A გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)
	განმსაზღვრელი შეფასება	№1-9	3 სთ		**გამოკითხვა; პრაქტიკული დავალება დაკვირვებით;**	**A, B გარემო (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15)**
X	➢ არქეოლოგიური მუზეუმების ტურის სპეციფიკაზე მორგებული ახალი ექსკურსიის შექმნა და ჩატარება	№10	18 სთ	დემოსტრირება		C გარემო (პრაქტიკის ობიექტი)
	განმსაზღვრელი შეფასება	№10	2 სთ		**პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; როლური თამაში.**	**C გარემო (პრაქტიკის ობიექტი)**
XI	➢ ეთნოგრაფიული მუზეუმების ტურის სპეციფიკაზე მორგებული ახალი ექსკურსიის შექმნა და ჩატარება	№11	18 სთ	დემოსტრირება	**პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; როლური თამაში.**	C გარემო (პრაქტიკის ობიექტი)
	განმსაზღვრელი შეფასება	№11	2 სთ		**პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; როლური თამაში.**	**C გარემო (პრაქტიკის ობიექტი)**
XII	➢ ხელოვნების მუზეუმების ტურის სპეციფიკაზე მორგებული ახალი ექსკურსიის შექმნა და ჩატარება	№12	18 სთ	დემოსტრირება	**პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; როლური თამაში.**	C გარემო (პრაქტიკის ობიექტი)
	განმსაზღვრელი შეფასება	№12	2 სთ		**პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; როლური თამაში.**	**C გარემო (პრაქტიკის ობიექტი)**